

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №22

ქ. თბილისი

18.05.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლოზიანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

მარიამ მირესაშვილი - პროფესორი;

ზურაბ პაპასქირი - პროფესორი;

რომეო გალდავა - ასოცირებული პროფესორი;

ნესტან კეკელია - ასოცირებული პროფესორი;

ლევან აბაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

ჯონი აფაქიძე - რექტორი;
თემურ ჩილაჩავა - პროფესორი;
ოთარ ჭკადუა - პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
პაატა ბუხრაშვილი
ემზარ კახიძე
გიორგი დალაქიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:15 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა - დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე, ვინაიდან დაწესებულებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

საბჭოს თავმჯდომარემ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობა და დაამტკიცა ახალი დღის წესრიგი :

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	არქეოლოგიის დოქტორი 1115
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ წლების განმავლობაში პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებდა, რის თქმის საფუძველსაც მას აძლევდა ის, რომ ზოგადად არქეოლოგებმა კარგად იცოდნენ თუ როგორ და რა პირობებში საქმიანობდნენ მათი კოლეგები. პროგრამა შედგებოდა 180 კრედიტისაგან, სადაც 120 კრედიტი ეთმობოდა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 15 თებერვალს. განხორციელებულ იქნა შესაბამისი შეხვედრები და მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. თანამშრომლობამ ჩაიარა კონსტრუქციულ რეჟიმში. ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა თითოეული სტანდარტის მიხედვით შეეფასებინა პროგრამა.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაში იყო დაწესებულების მისიასთან, თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული სწავლების მეთოდები და შედეგები, გათვალისწინებული იყო პროგრამაში არამხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული გამოცდილებისა და პროფესიული უნარჩვევების შეძენაც, რაც დოქტორანტებს საშუალებას მისცემდა არქეოლოგიური ძეგლის დამოუკიდებლად შესწავლისა. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და მოცულობა შედგენილი იყო სწავლის შედეგების გათვალისწინებით. ცოდნის შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები იყო გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფდა დოქტორანტის ინფორმირებულობას. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფდა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. ჯგუფს გააჩნდა რამოდენიმე რეკომენდაცია. დოქტორანტისათვის, რომელიც გადაწყვეტდა პროგრამაზე შესვლას, განსაზღვრული იყო 4 ენა - ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული. პროგრამისათვის, მისი შინაარსიდან გამომდინარე საკმარისი იქნებოდა აპლიკანტისათვის მოეთხოვათ ერთ-ერთი ევროპული ენა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლოზჟანიძემ განაცხადა, რომ როგორც დოკუმენტაციიდან ჩანდა, ოთხივე ენას სავალდებულო სახე არ ჰქონდა, იყო ან ფრანგული ან გერმანული ან ინგლისური ან რუსული ენები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მეორე რეკომენდაცია იყო მომხდარიყო ელექტრონული სისტემების შეძლებისდაგვარად სწრაფად ამუშავება, რაც აუცილებელი იყო იმისათვის რომ დოქტორანტი დაცული ყოფილიყო პლაგიატისაგან. რეკომენდაცია იყო მეტად განვითარებულიყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რადგან არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება მოითხოვდა თანამედროვე ტექნიკების დანერგვას.

პროგრამასთან მიმართებაში რჩევების შესახებ ექსპერტმა განაცხადა, რომ რჩევა იყო:

- პროგრამის სტრატეგიის შემუშავებასა და მის განვითარებაში მეტად ყოფილიყო უზრუნველყოფილი დოქტორანტთა ჩართულობა. სასურველი იყო კიდევ უფრო გაზრდილიყო დოქტორანტთა ჩართულობა გაცვლით პროგრამებში.
- გაზრდილიყო ხელშეწყობა სემინარებისა და კოლოქვიუმების, ვორკშოპების ორგანიზების კუთხით.
- უფრო ეფექტურად გამოეყენებინა დაწესებულებას პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალური და ინტელექტუალური შესაძლებლობები, სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩაერთო მათი ტექნიკური შესაძლებლობები. რამდენადაც ცნობილი იყო დაწესებულებას აქტიური კავშირები ჰქონდა გერმანულ არქეოლოგიურ კვლევით ცენტრებთან, რომლებთან ერთადაც ხდებოდა უშუალოდ პრაქტიკული მუშაობაც, თუმცა სასურველი იქნებოდა მათი ჩართულობა პროგრამაში კიდევ უფრო გაზრდილიყო.
- სასურველი იყო გამონახულიყო დამატებითი დაფინანსება არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. დაწესებულებაში იყო არქეოლოგიის ინსტიტუტი და სასურველი იქნებოდა მისი კიდევ უფრო გაძლიერებისათვის აკადემიურ საბჭოს გამოეძებნა თანხები, შესაძლებლობის ფარგლებში.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კოლეგიალური მუშაობისათვის და დადებითი შეფასებისათვის და განაცხადა, რომ ენების საკითხთან დაკავშირებულ შენიშვნას დაწესებულება იზიარებდა და აღნიშნავდა ინგლისური ენის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს და მნიშვნელობას პროგრამაში და ზოგადად თანამედროვე

სწავლებაში, თუმცა ხაზგასასმელი იყო გარემოება, რომ სოხუმის უნივერსიტეტში, მოცემულ პროგრამაზე გერმანულ ენას ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კერძოდ ეს გამოწვეული იყო გერმანულ მხარესთან ხანგრძლივი მუშაობით. დაწესებულება თანამშრომლობდა ისეთ გერმანულ დაწესებულებებთან როგორებიც იყო: ტურინგენის უნივერსიტეტი, ბერლინის უნივერსიტეტი, გერმანიის არქეოლოგიური ცენტრი და სხვა. სხდომას ესწრებოდა ლევან ჯაბაშვილი, რომელიც ამჟამად დაწესებულების გუნდის წევრი იყო. მას ეკუთვნოდა პირველი დისერტაცია არქეოლოგიის დარგში, რომელიც გერმანიაში იქნა დაცული 2017 წლის 13 დეკემბერს.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, რას ეხებოდა დისერტაციის თემა.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თემა შეეხებოდა თრიალეთის კულტურას. დისერტაცია იყო წარმატებული.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლოხუანიძემ იკითხა, იყო თუ არა ბატონი ლევანი დაწესებულების დოქტორანტი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის უკვე გუნდის წევრი იყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ბატონი ლევანი გერმანული დაწესებულების დოქტორანტი იყო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება წარმოადგენდა მუდმივი სრულყოფის საგანს. დაწესებულებას ჰქონდა აპარატურა, რომელიც ირიცხებოდა ბაზაზე, მისი შემოტანა აქტიურად ხდებოდა გერმანელებთან პარტნიორობის შედეგად. ამასთანავე ის ცდილობდა სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობას, როგორებიც იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აჭარაში არქეოლოგიის ინსტიტუტი. მთავარი იყო სტუდენტებს ჰქონოდათ აპარატურაზე წვდომა, რასაც დაწესებულება უზრუნველყოფდა. დაწესებულების სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ ყველა იმ სიკეთით, რაც არსებობდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. სემინარებისა და კოლოქვიუმებს, ვორქშოპების შესახებ აღინიშნა, რომ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტმა ბერლინში ჩაატარა საერთაშორისო სემინარი არაერთი ქვეყნის მონაწილეობით, რაც დაფინანსებული იყო გერმანული მხარის მიერ. მოგვიანებით სემინარი ჩატარდა საქართველოშიც. კონფერენციაზე, რომელიც შეეხებოდა ევროპის ბრინჯაოს კულტურას - სკანდინავიიდან კავკასიამდე, დაწესებულების წარმომადგენელი იყო კონფერენციის თავმჯდომარე. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი იყო მსგავს ღონისძიებებში სტუდენტების ჩართულობა. ინსტიტუტების დაფინანსების შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ეს უპირველეს ყოვლისა ადმინისტრაციის გადასაწყვეტი იყო. დაწესებულებას გააჩნდა საკუთარი განსაზღვრული პრიორიტეტები. ამ კუთხით ადმინისტრაციასთან მუშაობა მიმდინარეობდა და ცდილობდნენ დამატებით მხარდაჭერის მოპოვებას. თუმცა აღსანიშნავი იყო რომ ეს არ წარმოადგენდა მხოლოდ სოხუმის უნივერსიტეტის პრობლემას, არამედ იყო ზოგადად საქართველოში არსებული უნივერსიტეტების საერთო პრობლემა.

წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ ინსტიტუტებთან დაკავშირებით დაიგეგმებოდა დამატებითი ღონისძიება პროგრამის წარმომადგენლები დიდად მოხარულები იქნებოდნენ ჩართულები ყოფილიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ. რაც შეეხებოდა პროგრამას, მაქსიმალურად ეცდებოდნენ რომ მას სრულყოფილი სახე ეტარებინა.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტი იყო პროგრამაზე.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამას ჰყავდა 3 დოქტორანტი. 2 იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, რომლებიც მუშაობდნენ ქრისტიანულ ხანაში და მონაწილეობდნენ ტრადიციული მეგლების გათხრებში, ხოლო 1 დოქტორანტი მუშაობდა ისტორიის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ იკითხა იყო თუ არა პროგრამაზე დისერტაცია დაცული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დისერტაციები დაცული იყო. ბოლო დისერტაციის ავტორი ამჟამად სააგენტოს წარმომადგენდა და წარჩინებით მუშაობდა ალავერდის ტაძრის არქეოლოგიურ კვლევაზე. ამასთანავე იყო თელავის უნივერსიტეტის პროფესორი. დაწესებულებას კონსულტირება ჰქონდა გაწეული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტისათვის, რომელმაც დისერტაცია დაიცვა აფხაზეთის თემატიკაზე.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ იკითხა, ჰქონდათ თუ არა არქეოლოგიური განათლება არსებულ დოქტორანტებს წინა საფეხურებიდან.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ არქეოლოგიური განათლება ჰქონდათ ბაკალავრიატის საფეხურზეც და მაგისტრატურაზეც. გარდა 3 მოქმედი დოქტორანტისა მათ ჰყავდათ 3 სტატუს შეჩერებული დოქტორანტიც, ძირითადად ფინანსური პრობლემების გამო.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა ჰკითხა ექსპერტებს, გაეცნენ თუ არა დაცულ დისერტაციებს.

ექსპერტმა საბჭოს წევრს დაუდასტურა, რომ ისინი დისერტაციებს გაეცნენ ვიზიტის დროს.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, რა მიმართულებით ჰქონდათ განათლება წინა საფეხურებზე დოქტორანტებს რომლებსაც სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ განათლება ისტორიის და არქეოლოგიის მიმართულებით. სტუდენტი, რომლისთვისაც ბოლოს მოხდა სტატუსის შეჩერება მუშაობდა ლაზიკის კულტურაზე, წყაროებისა და არქეოლოგიის შერწყმით.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ პროგრამას წინაპირობის მიხედვით სოციალური მეცნიერებების მიმართულებებიდანაც შეეძლო სტუდენტთა მიღება. რადგან პროგრამა ცალსახად ხარისხზე იყო ორიენტირებული და არა რაოდენობაზე, დაწესებულებას შეეძლო მოეხსნა აღნიშნული წინაპირობიდან. მათ ჰყავდათ სტუდენტი, რომელსაც ფსიქოლოგიური მიმართულებით ჰქონდა განათლება და ის ძალიან მონდომებული იყო და ჰქონდა პონექტციალი ხარისხიანი დისერტაციის წარდგენისა, თუმცა ამჟამად სტატუსი შეჩერებული ჰქონდა.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ თანამედროვე არქეოლოგიაში წამყვანი როლი თანამედროვე ტექნოლოგიებს ენიჭებოდა. მან იკითხა, რამდენად საკმარისი იყო დოქტორანტისათვის წარმატებული კვლევის ჩასატარებლად არსებული ბაზა. ექსპერტების რჩევა იყო გაუმჯობესებულიყო ტექნიკა. ხომ არ არსებობდა ხელიშემაშლელი გარემოებები კვლევისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბაზაში იგულისხმებოდა მასალების პირველადი დამუშავების ლაბორატორია. ამ კუთხით, სამეგრელოში მასალა ბარდებოდა ზუგდიდის მუზეუმში და იყო სურვილი რომ ნაწილი იქ დამუშავებულიყო. რაც შეეხებოდა თბილისს, შენობაში, სადაც იყო არქეოლოგიის ინსტიტუტის კაბინეტი მიმდინარეობდა ტექნიკური სამუშაოები და იყო დაპირება, რომ გამოიყოფოდა შესაბამისი ფართი, სადაც შექმნილი

იქნებოდა პირობები მასალების პირველადი დამუშავებისთვის. რაც შეეხებოდა გათხრების დროს ტექნოლოგიების გამოყენებას, იმ თანამშრომლობის ფონზე, რომელიც არსებობდა თითქმის ყველა იმ დაწესებულებასთან რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობდა, ეს წარმატებით ხორციელდებოდა. გარდა ამისა, გერმანიასთან თანამშრომლობისას ხდებოდა ნიმუშების გაგზავნა გერმანიაში გამოსაკვლევად.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა თუ რა სახის ნიმუშები იგზავნებოდა გერმანიაში, იყო თუ არა ეს ორგანული ნიმუში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს შესალოა ყოფილიყო მაგალითად დანახშირებული ხის ძელი და სხვა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააზუსტა კითხვა და განაცხადა, რომ მას აინტერესებდა იქნებოდა თუ არა დოქტორანტს ის საჭირო მოწყობილობები, რომლითაც შეძლებდა გათხრების დროს სათანადოდ მუშაობას.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თითქმის ყველა ნივთი, რაც საჭირო იყო გათხრების დროს მუშაობისათვის ბაზაზე ირიცხებოდა. გათხრები ტარდებოდა გერმანელი არქეოლოგების ჩართულობით. ასევე, გერმანელი პროფესიონალების თანამონაწილეობით შეიქმნა D3 აზომვის აპარატურა, რაც საკმაოდ იშვიათი იყო საქართველოში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მას ზოგადად აინტერესებდა ხდებოდა თუ არა აზომვა გათხრების დაწყებამდე.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ სანამ გათხრები დაიწყებოდა საჭირო იყო გეგმის შედგენა. შემდგომ ხდებოდა დაკვადრატება და გასათხრელი ფართობების მოზომვა და ა.შ. ეს იყო დეტალურად გაწერილი პროცესი. დაწესებულების სტუდენტები გათხრებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი და ეს ეხებოდა არამხოლოდ სადოქტორო, არამედ სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებსაც. დაწესებულება ახერხებდა გათხრებზე წარმატებით მუშაობას, განსაკუთრებით გერმანული მხარის დახმარების პირობებში და ეს ხდებოდა თანამედროვე ტექნოლოგიების კვალდაკვალ. მაგალითისათვის აჭარაში ჩართული იყო ლევან ჯაბაშვილი, რომელიც ტროას გათხრებშიც მონაწილეობდა და ათვისებული ჰქონდა თანამედროვე ტექნიკა. რაც შეეხებოდა ნიმუშებს, ისინი იგზავნებოდა ჰაიდელბერგის კლაუს თირას სახელობის არქეომეტრიის ინსტიტუტში, სადაც ხდებოდა ანალიზების ჩატარება და საბუნებისმეტყველო ცენტრში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ჰოისნერი. გერმანიიდან მიღებული შედეგები ხელს უწყობდა სამუშაო პროცესის სწორად წარმართვას საქართველოში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, გარდა C14-ისა, კიდევ თუ იგზავნებოდა სხვა სახის ნიმუშები საზღვარგარეთ.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იგზავნებოდა ცხოველური ნაშთები და ძვლები, რომლებსაც არქეოზოოლოგიური ანალიზები უტარდებოდა.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ შეუძლებელი იყო დაწესებულებას ყველა სახის ანალიზისთვის აპარატურა ჰქონოდა, რადგან ეს უზარმაზარ თანხებს უკავშირდებოდა.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ განაცხადა, რომ არტეფაქტებს, რომლებიც მოპოვებული იქნებოდა გათხრების შედეგად დამუშავება ესაჭიროებოდა, თვისებების შენარჩუნება და სხვა. მან იკითხა როგორ ახრხებდა აღნიშნულის განხორციელებას დაწესებულება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუშაობა ხდებოდა ძირითადად კერამიკაზე. როდესაც ხდებოდა მასალის მოპოვება, შემდგომ მიმდინარეობდა მისი სკანირება. როდესაც

ხდებოდა მასალების არქეოლოგიურ ბაზაზე მიტანა, სპეციალურად შერჩეული სტუდენტებისთვის ხდებოდა სწავლება როგორ უნდა მომხდარიყო მასალასთან მუშაობა. შესაბამისი დამუშავების შემდგომ ხდებოდა მისი გაგზავნა მუზეუმში, სადაც საჭირო იყო არსებულიყო შესაბამისად საჭირო ტემპერატურა. მაგალითად ზუგდიდის მუზეუმში ამ კუთხით მდგომარეობა სულ უფრო უმჯობესდებოდა.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ პროგრამის ინტერდისციპლინარულობა არ გულისხმობდა იმას, რომ დოქტორანტს ყოველგვარი სამუშაოს ჩატარება თავად ესწავლა. აქ მნიშვნელოვანი იყო ის, რომ დოქტორანტი ისწავლიდა საჭიროების შემთხვევაში ვისთვის უნდა მიემართა, ვისთან თანამშრომლობით მიაღწევდა შედეგს.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მას სურდა მცირე ტექნიკურ საკითხს შეხებოდა. პროგრამის მიზნებში გამოყენებული იყო ტერმინი - ასპირანტურა. ტერმინი ძველი იყო და აღარ გამოიყენებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამასან დაკავშირებით ბოდიშს იხდიდა და შენიშვნა მიღებული იყო.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მიზნებში ინფორმაციის მიზნით ვებ ლინკი მითითებული იყო ვიკიპედიიდან, რაც კვლევით დონეზე, განსაკუთრებით სადოქტორო საფეხურზე ინფორმაციის წყაროდ გამოსაყენებლად მიზანშეწონილი არ იყო. ასევე პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ განაცხადა, რომ მითითებული იყო არქეოლოგია, ინჟინერია და სოციალური მეცნიერებები. სოციალური მეცნიერებების სიფართოვის გამო, მაგალითად ფსიქოლოგის მიღების შემთხვევაში მას შესაძლოა მუშაობა გასჭირვებოდა, ამიტომ ალბათ სასურველი იქნებოდა ამ გარემოების შეზღუდვა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სოციალური მეცნიერებების მითითება მოხდა იქიდან გამომდინარე რომ არქეოლოგია არ იყო რეგულირებადი სპეციალობა და იყო ფართო, თუმცა პრაქტიკა აჩვენებდა რომ მოთხოვნა პროგრამაზე იყო ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულებით განათლების მქონეთა მხრიდან.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით კარგი იქნებოდა, ის რაც პრაქტიკაში არსებობდა ოფიციალურად გადასულიყო წინაპირობაში.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ რეალურად შესაძლოა სოციალური მეცნიერებებიდან სტუდენტების მიღება პროდუქტიულიც კი ყოფილიყო, რადგან ნაშრომში მომხდარიყო გარკვეული საინტერესო კომბინაციის შექმნა ინტერდისციპლინარული კუთხით. თუმცა ეს დამოკიდებული იყო იმაზეც, თუ სოციალური მეცნიერებების რომელი მიმართულებიდან იქნებოდა სტუდენტი, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა დაზუსტებულიყო სოციალური მეცნიერებების რომელი მიმართულებებიდან მოხდებოდა მიღება. ნათქვამს დაეთანხმა საბჭოს წევრი, სოფიკო ლოზუანიძე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოქტორანტი რომლის წინა საფეხურზე მიღებული განათლებას სოციალური მიმართულებით იყო რეალურად ამჟღავნებდა ისტორიის ცოდნას, ამიტომ დოქტორანტურის საფეხურზე უარის თქმა უხერხულობას შექმნიდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^ბ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი მათემატიკა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მათემატიკის დოქტორი 0501
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგადად ისაუბრებდა რეკომენდაციებზე და რჩევებზე. დაშვების წინაპირობების მიხედვით, სტუდენტს შეიძლება სცოდნოდა ინგლისური, რუსული, გერმანული ან ფრანგული ენა. სასწავლო მასალა ძირითადად წარმოდგენილი იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურით. ზოგადად წინაპირობაში ეწერა, რომ ლიტერატურა უნდა დამთხვეოდა მითითებულ ენებს. უფრო კონკრეტულად, სასურველი იყო დომინანტი ყოფილიყო ინგლისური ლიტერატურა და დოქტორანტისათვის მოთხოვნად განსაზღვრულიყო ინგლისური ენის ცოდნა და თუ მოხდებოდა ინგლისური ენის არმცოდნე კანდიდატის დაშვება პროგრამაზე, შექმნილიყო პირობები და კურსები იმისათვის რომ სტუდენტს ინგლისური ესწავლა. მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაცია ბიბლიოთეკის გამდიდრების შესახებ. შესაძლოა ეს არ ყოფილიყო მხოლოდ მოცემული დაწესებულების პრობლემა, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას რომ დაწესებულებას მდიდარი ბიბლიოთეკა არ უნდა ჰქონოდა. რადგან ეს იყო სადოქტორო საფეხური, ხელმძღვანელების და პროფესორების მხრიდან, უნივერსიტეტში ჩატარებული სემინარებიდან და სამეცნიერო შეხვედრებიდან შესაძლებელი იყო მიეწოდებინათ სტუდენტებისათვის სტატიები, თანამედროვე პუბლიკაციები რაც დააბალანსებდა ხარვეზს. არსებობდა რეკომენდაცია საერთაშორისო კოლაბორაციის დაფინანსების გამჭვირვალების თაობაზე. ეს არ ნიშნავდა რომ დაფინანსება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის კუთხით არ არსებობდა. პრაქტიკა იყო რომ მონაწილეს ჯერ უნდა მიემართა ადმინისტრაციისათვის, შემდგომ თუ ეს საჭირო გახდებოდა - უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის. თუმცა არ არსებობდა ამის გაწერილი ფორმა, კერძოდ როგორ ხდებოდა მიმართვა, მიმართვის განხილვა და რა კრიტერიუმები უნდა დაეკმაყოფილებინა აპლიკანტს დაფინანსების მისაღებად. რეკომენდაცია დასკვნაში შევიდა ერთ-ერთ სტუდენტთან გასაუბრების შემდგომ, რომელმაც ვერ მიიღო დაფინანსება და ჩათვალა რომ პროცესი უნდა ყოფილიყო უფრო გამჭვირვალე.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რა ტიპის გამოსვლა უნდა ჰქონოდა კონფერენციაზე სტუდენტს რომელთანაც გასაუბრება მოხდა. ხომ არ იყო ეს მხოლოდ პრეზენტაცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულის დაზუსტებით თქმა არ შეეძლო, თუმცა იცოდა რომ სტუდენტს მოხსენება უნდა გაეკეთებინა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შეეძლო ობიექტური მიზეზის გამო თავი შეეკავებინა სტუდენტის დაფინანსებისაგან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სწორედ ამიტომ იყო საჭირო გაწერილი პროცედურა, რომ არ გაჩენილიყო კითხვები. რჩევა იყო დაზუსტებულიყო რა იგულისმებოდა იმ ღირებულებებში, რომელსაც პროგრამა სტუდენტს უყალიბებდა. მაგალითად ეს შესაძლოა ყოფილიყო აკადემიური ეთიკა. დაშვების წინაპირობები უშვებდა პროგრამაზე სოციალური მეცნიერებების ხარისხის მქონე პირის მიღებას. რჩევა იყო დაზუსტებულიყო ამ კუთხით პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. ეს რეკომენდაციაში არ ჩაითვალა, რადგან სოციალური მეცნიერებების ხარისხის მქონე სტუდენტსაც შეიძლება ჰქონოდა შესაბამისი ცოდნა პროგრამისათვის და რადგან პროგრამაზე მიღება გასაუბრებას ითვალისწინებდა, საჭირო ცოდნის თუ უნარების შემოწმება შესაძლებელი იყო. ამასთანავე, დაშვების წინაპირობებში მითითებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიც. აქ შესაძლოა გაჩენილიყო კითხვა რამდენად შეძლებდნენ სწავლის გაგრძელებას ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის განათლებით სტუდენტები. ფიზიკის შემთხვევაში დამაბრკოლებელი გარემოება არ

არსებობდა. მას დაზუსტებით ანალოგიურის თქმა არ შეეძლო დარჩენილ ორ მიმართულებაზე, თუმცა არ გამოირიცხებოდა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, მითუმეტეს მაშინ როცა არსებობდა გამოთვლითი ქიმია და სხვა. ერთ-ერთი თემა რომელზეც დისერტაცია იქნა დაცული იყო ფოთლების დამარღვის მოდელირება. რეალურად ფიზიკოსების და ქიმიკოსების მიღება, იმ შემთხვევაში თუ მათ ექნებოდათ შესაბამისი უნარები ხელს შეუწყობდა პროგრამის ინტერდისციპლინარულ ჭრილში განვითარებას. რჩევა იყო ინგლისურის არმცოდნე დოქტორანტებისათვის ვალდებულება ყოფილიყო მისი შესწავლა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტების მხრიდან იყო სურვილი მეტი ინფორმაცია ჰქონოდათ ადგილობრივი კონფერენციების შესახებ, თუმცა ეს შესაძლოა არ ყოფილიყო სპეციფიკურად ამ კონკრეტული დაწესებულების პრობლემა. სასურველი იყო სასწავლო მასალებში გამოყენებული ყოფილიყო თანამედროვე პუბლიკაციები. ეს რჩევა ბიბლიოთეკის შესახებ რეკომენდაციისაგან განსხვავდებოდა, რადგან როგორც უკვე ნათქვამი იქნა, დაწესებულება ატარებდა სემინარებს, მეცნიერებთან შეხვედრებს რაც თანამედროვე პუბლიკაციებთან შეხების შესაძლებლობას ზრდიდა. მეორე მხრივ, თანამედროვე პუბლიკაციები მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც რიცხვითი მეთოდები არ არის უნივერსალური და დათვლების სიზუსტე და მდგრადობა იხვეწებოდა დროთა განმავლობაში. ახალ პუბლიკაციებში ასახული შესძლოა ყოფილიყო ახალი მეთოდები, რაც უფრო მდგრადი შეიძლება აღმოჩენილიყო ვიდრე ის, რასაც აქამდე იყენებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგანაც დარგი წარმოადგენდა გამოყენებით მათემატიკას, რაც გულისხმობდა მათემატიკის გამოყენებას სხვადასხვა მეცნიერებებში, სოციალური მეცნიერებების შეტანა წინაპირობებში განპირობებული იყო იმით, რომ დაწესებულების წარმომადგენელი უშუალოდ მუშაობდა სოციალურ მათემატიკურ მოდელებზე. თუმცა ტარდებოდა გასაუბრება და დარგისათვის საჭირო უნარების შემოწმება. ამასთანავე არ გამოირიცხებოდა თუნდაც ფსიქოლოგიაში მათემატიკური ნაწილის ჩართვით კარგი დისერტაციის წარდგენა. რაც შეეხებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს რომელიც პროგრამაში ჩაწერილი იყო ზუსტი მეცნიერებების სახელით, იგულისხმებოდა სწორედ ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. რადგანაც პროგრამაზე მიღების ენა იყო ქართული, ყველა სილაბუსი იყო ქართულ ენაზე. ამავდროულად დამატებით ლიტერატურაში მითითებული იყო ინგლისურენოვანი მასალა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დარგისათვის, რადგანაც საზღვარგარეთ მისი სწავლება უმეტესად სწორედ ინგლისური ლიტერატურით ხდებოდა. შემთხვევები იმისა, რომ პროგრამაზე მისულიყო კანდიდატი ფრანგული ან გერმანული ენით, ძალიან მცირე იყო, ძირითადად სტუდენტები აბარებდნენ ინგლისურს, თუმცა იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს გაუჭირდებოდა მასალის დაძლევა, მას შეეძლო მიემართა ხელმძღვანელებისათვის, რომლებსაც გააჩნდათ შესაბამისი კომპეტენცია და ამ კუთხით პრობლემა არ იარსებებდა. ამასთანავე, პროგრამის წარმომადგენლების თხოვნით მოხდა რამოდენიმე ფრანგული და გერმანული წიგნის შეძენაც. რაც შეეხებოდა სტუდენტთა ჩართულობას საერთაშორისო აქტივობებში, აღინიშნა, რომ მოცემული მომენტისათვის, საერთაშორისო კონფერენციაზე 4 პიროვნება იყო მივლინებული, მათგან ორი, კონფერენციის თავმჯდომარის მოადგილე უნდა ყოფილიყო. 60 სასწავლო კრედიტის ფარგლებში დასაქმებულნი იყვნენ ადგილობრივი კადრები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ სამეცნიერო ნაწილში, უშუალოდ დისერტაციის ხელმძღვანელებად ძველი პროგრამიდან გადმოსულიყო 3 პიროვნება, რომლებსაც დისერტაციები დაცული ჰქონდათ დარგის

მიმართულებით, თუმცა ცხადია იმის გამო რომ ძველი პროგრამა უმეტესად მათემატიკურ და კომპიუტერული მეცნიერებების კომბინირებას მოიცავდა შესწორებები საჭირო გახდებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისის აზრით პროგრამა მნიშვნელოვანი იყო იმ ფონზე როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის მიმართულებები გამოყენებითი არ იყო, ხოლო მათემატიკის ქართული სკოლის ცნობილი მოღვაწეები სწორედ გამოყენებითი მათემატიკის დარგიდან იყვნენ.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ალბათ სწორედ ეს იყო მიზეზი რის გამოც ძველი პროგრამა გაიყო, რაზე საუბარიც ადრე უკვე იყო წარმართული.

წარმომადგენელი დაეთანხმა და განაცხადა, რომ მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენება უამრავ დარგში, მათ შორის ჰუმანიტარულშიც შესაძლებელი იყო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთმა დოქტორანტმა შექმნა ელექტრონული ლექსიკონი, დიალექტების შესასწავლი პროგრამა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა თუ როგორ შეიძლებოდა ნახსენები ნაშრომის მოძებნა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ საბჭოს წევრი დაინტერესდებოდა მიაწვდიდნენ ნამუშევარს.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლოჯანიძემ იკითხა, ღია იყო თუ არა ნაშრომი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნაშრომი გასაჯაროვებული ჯერ არ იყო.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ მიდგომა, რომლის მიხედვითაც პროგრამაზე ფართო სპექტრიდან მიდიოდნენ სტუდენტები მისაღები იყო, თუმცა კვლევითი თემატიკის ჩამონათვალი მაინც საკმაოდ დიდი იყო. მაგალითისათვის ასტრო ფიზიკა ან ჰიდრო აკუსტიკა სრულიად განსხვავებულ დარგებს წარმოადგენდა. მან იკითხა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას იმდენი სპეციალისტი, რომ მოეხერხებინათ სტუდენტთა ხელმძღვანელობა სფეროების ფართო ჩამონათვალიდან.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში მუშაობდა 5 მეცნიერი. რაც შეეხებოდა ასტრო ფიზიკას, მას თავად ჰქონდა დარგზე მუშაობის გამოცდილება. ხოლო ჰიდრო აკუსტიკის შემთხვევაში, წარსულში სოხუმში არსებობდა ჰიდრო აკუსტიკის ინსტიტუტი, სადაც დაწესებულების წარმომადგენლები წარმატებულად მუშაობდნენ სანამ მოუწევდათ გადმოსვლა თბილისში. პუბლიკაციები ქვეყნდებოდა რეიტინგულ ჟურნალებში, არსებობდა იმპაქტფაქტორიანი აკუსტიკური ჟურნალიც. რაც შეეხებოდა სხვადასხვა დარგებს, ასევე ხდებოდა ხელმძღვანელების მოწვევაც. მაგალითისათვის დისერტაციაზე ფოთლების დამარღვის მოდელირების შესახებ ხელმძღვანელი მოწვეული იყო. კოლაბორაცია ხდებოდა როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ასევე ტექნიკურ უნივერსიტეტთან და სხვა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კოლაბორაციის მეთოდი ძალიან ნაყოფიერი და კარგი პრაქტიკა იყო და რამოდენიმე პროგრამაზე ეს გამოიკვეთა. მუშაობა მიმდინარეობდა არა იზოლირებულად, არამედ დახმარების რეჟიმში რაც შესაბამის დარგებში ეფექტური იყო.

18:24 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:30 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 27⁶ მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

18:33 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

მდივანი

ნინო ჩანადირი

